# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 558

დამატების № 100

კვირა, 24 აპრილი 1916 წ.




უ. შექსპირი.

## ანალოგიები

1

დათოვლილია მყინვარის წვეტი,
ბუსუსა ფიფქი ამშვენიერებს,—
მაგრამ თუ მოჰხვდა თოვლს მთვარის სვეტი:
შეავარაყებს... შეაელფერებს...
პეპელა ცელქი, სიზმარგამფრთხალი,
ბაღში ვარდს სწუწნის, ეალერსება,—
მაგრამ თუ მოჰხვდა ვარდს ქარიშხალი
დაიფურცლება... დაიქსაქსება...

2

დათოვლილია ეს ჩემი გული,
სევდით მიკვდება, სევდით მიჭკნება,—
მაგრამ თუ მესმა სიტყვა შაქრული:
სევდა ღიმილად გადითარგმნება.
და ვით პეპელა შენც დანარნარებ
და სწუწნი ჩემს გულს, სწუწნი და... სტკბები.—
მაგრამ ნამდვილად თუ შემიყვარებ:
დავიფურცლები... დავიღუპები...

ი. გრიშაშვილი.

2804


THE
Tragicall Historie of
HAMLET
*Prince of Denmarke*
By William Shake-speare.
As it hath beene diuerse times acted by his Highnesse seruants in the Cittie of London : as also in the two Vniuersities of Cambridge and Oxford, and else-where
At London printed for N.L. and Iohn Trundell.
1603.

„ჰამლეტის“ პირველი გამოცემის სათაური.



სახლი, სადაც დაიბადა შექსპირი.

გამოჩენილი მსახიობი მიუნე-სიული ჰამლეტის როლში.






შექსპირის დროინდელი სცენა.



# ფიქრი

ფიქრთა ზღვაში დავიბადე, ფიქრთა მკერდზე ავიზარდე,
ფიქრებს გული გავუშალე, სულის სწრაფვა შევუფარდე,
აზრი ჩემი ფიქრად დავსწან, ფიქრად დავსწან ჩემი გრძნობა,
ფიქრს მივანდე ამა ქვეყნის საიდუმლოს გამოცნობა.

ფიქრის ფრთებით ცას ავეკარ, ზურმუხტის ცას ჩავეწანი,
ცრემლად დამდნარ სევდის ჰანგით-მიწის სევდა გავაცანი...
შვების ღმერთებს ვეამბორე, შვების ღმერთებს გავუღიმე,
შვების ღმერთებს გარდავეცი ტანჯულთ ტანჯვა, ტანჯვა მძიმე,
იქ ღმერთებმა დამასწავლეს, იქ ღმერთებმა მიკარნახეს,
რა მოძმეთა ტანჯვის ცრემლით დატვირთული დამინახეს,
რომ დამეწვა ჩემ ფიქრებით ეს ცრემლები, სევდა მწარი,
რომ დამედნო ჩემს ფიქრებში ეს კვნესა და გლოვის ზარი,
ბრძოლის ჰანგათ ამექცინძა ეს სევდები, ეს ცრემლები
და ჩემს ტანჯულ მოძმეთათვის მომესმინა ბრძოლის ხმები...
და დავიწყე. აწ არ მინდა, რომ ვიტირო და ვიგლოვო,
სხვების კვნესას ჩემი კვნესაც შევუერთო, ჩავაქსოვო...
მსურს ვიმღერო ბრძოლის ხმაზე, მინდა შევქმნა ბრძოლის ჰანგი,
მსურს გავსჭედო მოძმეთ ცრემლის ბრძოლის ქნარი,—ბრძოლის ჩანგი.
... თვით ფიქრი ვარ, მწვავე ფიქრი... თვით ფიქრი ვარ, ფიქრი მწვავე..
ფიქრით გრძნობა განვაახლე, ფიქრით რწმენა ავაყვავე...
... ფიქრის ნავით ფიქრის ზღვაში მიმოვსცურავ, დავნავარდობ,
უკუ ვაგდე სევდა-ქმუნვა, აღარ ვკვნესი, აღარ ვდარდობ;
ხელთ მიჭირავს ბრძოლის ჩანგი მაშვრალთ ცრემლით მოჭედილი,
წინსვლა არის მისი მრწამსი... ვერ აშინებს მას სიკვდილი.
ის ჩემს მოძმეთ, ტანჯულ მოძმეთ მოუწოდებს საბრძოლველად,
ძველ ცხოვრების შესამუსრად და ახალის შესაქმნელად...

ფიქრთა ზღვაში დავიბადე, ფიქრთა მკერდზე ავიზარდე,
ფიქრებს გული გავუშალე, სულის სწრაფვა შევუფარდე;
აზრი ჩემი ფიქრად დავსწან, ფიქრად დავსწან ჩემი გრძნობა,
ფიქრს მივანდე ამა ქვეყნის საიდუმლოს გამოცნობა...

ი. ვადაჭკორია.



მ. სერვანტესი.

# შექსპირი ქართულ სცენაზე



შექსპირის მთარგმნელი ივ. მაჩაბელი.



კოტე ყიფიანი.
(„ვენეციელი ვაჭარი“—შეილოხი).



ვლ. ალექსი მესხიშვილი.
(„ჰამლეტ“—ჰამლეტი).



კოტე მესხი.
(„პირვეული ცოლის მორჯულება“—პეტრუჩიო).

# შობის ღამეს

(სერბიული).

**სვ. ჩოროვიჩისა.**

შუა ღამე ახლოვდებოდა. სოფელი წყვდიადის ძაძაში იყო გახვეული. მხოლოდ იქ, ქუჩის პირას, პატარა ქოხში ისევა ციალებდა სუსტი შუქი. იქ ქონის სანთელი ენთო, ის ებრძოდა მხოლოდ უკუნეთს... მაგრამ ისიც მალე გაილია, გადაქან-გადმოქანდა ყვითელი შუქი, ათრთოლდა, ატკაცუნდა ოდნავ, გადისროლა აქეთ-იქით წინწკლები და ძლივს ღა ანათებდა ოთახის იმ კუთხეს, სადაც დაფხრეწილ ბალიშზე გადასვენებულიყო ავადმყოფი ქალი და უკანასკნელ ჟამს ჰლევდა. თავით პატარა მაგიდა ედგა. იქვე იჯდა გამხდარი, ყვითელი, შვიდი წლის ბიჭუნია და დაფიქრებულს ცაში მიეპყრო თვალი. მაგიდის ნაპირს დაყრდნობოდა, არ ინძრეოდა, არაფერს ამბობდა. გაქვავებული იყო, გაქვავებული. მხოლოდ როცა ავადმყოფი ჟამ და ჟამ ხმა-მაღლა წამოიკვნესებდა, ის მისკენ მიიხედავდა და თითქმის ჩურჩულით ეკითხებოდა:

— დედიკო, ძიელა გტკივა, ძიელა?..

— ო... მტკივა, შვილო, მტკივა!..

— ნუ გეშინიან, დედიკო, გაივლის, გაივლის!—ეუბნებოდა პატარა და დედას ნაზად უსვამდა ხელს სახეზე.

ბავშვი მერე ისევ მობრუნდებოდა და ძველებურად მაღლა მიაპყრობდა თვალს. მთელს ცაზე ვარსკვლავები ბრჭყვიალებდნენ და თითქოს უცინოდნენ იმას. ის კი უცქეროდა, უცქეროდა, ვერ მოეცილებინა თვალი. ისინი ხომ იმისათვის ვარსკვლავები არ იყო, მშვენიერი, ლამაზი სათამაშოები იყო, ისე რომ უყვართ ბავშვებს და დიდხანს თვალს ვეღარ აცილებენ... ერთი ვარსკვლავი აციალდა, ათრთოლდა, გადექანა ცის კაბადონზე და ღამის წყვდიადში ჩაიკარგა. გრძელი, ნათელი კვალი დააგდო ცაზე... ბავშვი დააკვირდა და, თითქოს კვლავ ეს არას დროს არ უნახავსო, ნეტარებით გაიცინა.

— აი სწორედ ეხლა იქნება!—წაიფუჩუნა პატარამ.

იმას ეგონა, რომ ახლა სხვა ვარსკვლავებიც დაიწყებდნენ ცვენას და მაშინ მოხდებოდა ის, რაც ჯერ არ ენახა. გაეღიმა, როცა მოაგონდა, დილით როგორ ელაპარაკებოდა სკოლაში ამხანაგებს (ის უკვე სწავლობდა სკოლის პირველ განყოფილებაში) და ერთმა როგორა სთქვა, რომ შობის ღამეს, შუაღამისას, მუდამ ცა გაიხსნება ხოლმე და ვინც მოასწრებს და სთხოვს რამეს, ვიდრე ცა დაიხურებოდეს, რასაც სთხოვს, ყველაფერი შეუსრულდებაო. ყველა ბავშვები ამბობდნენ, რომ შუაღამეს ძოჯუკდითო.

— მე ოქროს ცხენს ვინატრებ განა!—სთქვა ერთმა.

— მე ხელმწიფის ტანისამოსსა!

— მე—ეტლს!

— მე ალმასებიან ხმალსა!

მხოლოდ ჩვენი პატარა სდუმდა.

— შენა, შენ რაღას ინატრებ?—ჰკითხეს ამხანაგებმა.

— მე... მე მინდა რომ დედა კარგად გამიხდეს...

მას მართლაც სხვა არაფერი უნდოდა ისე ძლიერ.

საწყალი დედიკო!.. ორი თვე წევს და იტანჯება და არავინ არის იმის ახლოს, რომ მოუაროს, გარდა იმისა! მხოლოდ მეზობელი ანნა შემოდიოდა ყოველ დილას და საჭმელი შემოჰქონდა...

და აგერ ზის პატარა, ზის მაგიდასთან და ცაში იცქირება, ელის, ელის, როდის გაიხსნება. ხვალ შობაა და ცა ახლამ უნდა გაიხსნას... ჰფიქრობს, ჰფიქრობს, რა სიტყვებით უნდა გამოსთქვას თავისი თხოვნა. მალე უნდა სთქვას, თორემ ცა მაშინვე დაუხურება.

— ღმერთო, მიმყოფე დედიკო კარგად! —აი ასე იტყვის. ღმერთი უეჭველია გაუგონებს და დედიკოს კარგად გაუხდის. ის მაშინ ლოგინიდან ადგება, ისეთი გამხდარი, ყვითელი აღარ იქნება, არამედ სრული, წითური, აღარ იქნება ისეთი ნაღვლიანი, ჩაფიქრებული, არამედ ხუმრობას დაუწყებს იმას, როგორც წინად, იქნება მხიარული, ხელში აიყვანს იმას და დაჰმღერს მის საყვარელ სიმღერას:

„ბოჟიჭ, ბოჟიჭ ბოტა,
ნოსი კიტუ ზლატუ
და პოზლატი ვრატა
ი ობოია პობოია
ი სვუ კუპუ დო კრაია“...

ის უყიდის ხოლმე მას, როგორც წინად, ფუნთუშა პურებს, შეუკერავს კარგ, ახალ ტანისამოსს, რომ დაგლეჯილი არ იაროს, როგორც ეხლა.

— დედიკო!—ხმა-დაბლა უძახის პატარა.

— რა იყო?!. კვნესით ეხმაურება ავადმყოფი.

— მალე, მალე... მორჩები განა!.. ეუბნება ის, როგორღაც გაუბედავი. მაგრამ იმას კი არ ეუბნება, როგორ მორჩება. ჯერ უნდა ღმერთსა სთხოვოს დედიკოს მორჩენა და უკვე ხვალ, როცა ის გაიღვიძებს სრულიად მორჩენილი და მხიარული, მაშინ ეტყვის ის, როგორ ელოდა ცის გახსნას და როგორა სთხოვა ღმერთს იმის მორჩენა...

სანთელი უკვე სულ დაილია, ატკაცუნდა და ჩაჰქრა. ოთახში უკუნეთი გამეფდა. პირველად პატარას შეეშინდა უცებ, მაგრამ მაშინვე დაიხარა მაგიდაზე და ცაში იწყო ცქერა...

— ეს არის კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი ჩამოვარდა, მაშ ეხლა გაიხსნება ცა,—წაიბუტბუტა პატარამ. და გაფაციცებული ელოდა, ათრთოლდებოდნენ თუ არა კიდევ და ჩააქრობდნენ სხვა ვარსკვლავები? ისინი კი ელვარებდნენ და უღიმებდნენ როგორც წინად.

— ღმერთო, კარგად გაჰხადე დედიკო!—გაიმეორა პატარამ კვლავ თავისი ლოცვა ხმა-დაბლა, რომ არ დავიწყებოდა და არ გაეშვა ის წუთი, როცა ცა გაიხსნებოდა.

— დაიძინე, შვილო!—უთხრა სუსტი ხმით ავადმყოფმა, რადგან ჩურჩულზე მიუხვდა, რომ არ ეძინა.

— შენ დაიძინე, დედიკო, მაშინ მეც დავიძინებ!—მიუგო მან და არ მობრუნებულა, ცას შეჰყურებდა.

ეზოში ვიღაცამ დაუსტვინა. ღამის ყარაული უძახოდა თავის ამხანაგს. შორიდან სტვენითვე უპასუხეს. მერე ისევ მიწყნარდა ყველაფერი...

— უკვე მალე იქნება ეხლა!—სთქვა პატარამ და ისევ მოჰყვა თავის ლოცვას... რაღაცა სიმძიმეს ჰგრძნობდა თავში. ნელ-ნელა ეკიდებოდა იგი ძირს უნებლიედ, ქუთუთოები კი, თითქოს ტყვია ჩაუსხამთო, ეფარებოდა კაკლებს... „ღმერთო, კარგად გამიხადე დედიკო!“ ერთხმაზე ბუტბუტებდა იმისი ბაგე, თითქოს გაკვეთილს იზეპირებდა. თავი კი უმძიმდებოდა, უმძიმდებოდა...

უცებ თვალს მოეფარა ყველა ვარსკვლავები ცაზე... კი არ მოსწყდნენ და ისე არ გაჰქრნენ, არამედ თითქოს რაღაცა შავი სუდარა გადაეფარა... იქ კი, შორს, თითქოს განათდა და ნათელი გაბრწყინდა, გაბრწყინდა... და რამდენიც უფრო ახლოვდებოდა ეს ნათელი, იმდენი ცაში უფრო და უფრო მაღლა იშლებოდა რაღაცა სასწაულებრივი შუქი. თან და თან ამ ნათელმა იმათ ქოხშიაც შემოაჭყიტა და გაანათა უფრო, ვიდრე ქონის სანთელმა. უცებ საშინელი შუქი შემოიჭრა და ისე გააბრწყინა, რომ პატარამ ვეღარაფერი დაინახა. „ცა გაიხსნა, ცა!“ გაუელვა თავში. ხმა-მაღლა წამოიძახა პატარამ დაზეპირებული სიტყვები: „ღმერთო, დედიკო კარგად გამიხადე!“ როცა ესა სთქვა, ნათელი გაჰქრა, ყველაფერი ისევ წყვდიადმა მოიცვა... მაგრამ იმ წუთიდან ნათლადა ჰხედავს, დედა როგორა დგება ლოგინიდან, მიდის იმისთანა და ჰკოცნის. ის ისეთი მშვენიერია, ჯანსაღი; ასეთი ახსოვს იგი, როცა ის უფრო პატარა იყო... იმან წამოიყვირა სიხარულით და დედიკოს ყელზე ჩამოეკიდა. ჩაიხუტა დედიკომ, ჩაჰკოცნა, ჩაჰკოცნა მხურვალედ. რა ძვირფასი, საამო იყო იმისათვის ის კოცნა!.. არ იცოდა პირდაპირ რა ექნა, ისეთი ბედნიერი იყო. ისიც ეხვეოდა დედიკოს და უფრო მხურვალედ, უფრო ტკბილად უბრუნებდა კოცნას...

უკვე დიდი ხანია გათენებულიყო, როცა პატარას გამოეღვიძა. უცებ არ გაუხელია თვალი, მოიფშვნიტა და ისე მოავლო ირგვლივ. მოაგონდა ის ბდღვრიალა შუქი და ისიც, ღმერთს რომა სთხოვა დედის კარგად გახდომა. ჩუმად ადგა პატარა და ლოგინს გადაჰხედა: „იქნება დედიკო უკვე ადგა კიდეც!“ წაიჩურჩულა მან. მივიდა საწოლთან და დაიხარა. მშვიდად იწვა ის, უძრავად, ყვითელი, ვით წმიდანი.

— სძინავს!—ჩურჩულითა სთქვა მან.

უნდოდა პატარას გაეგო, ადგებოდა დედიკო თუ არა, მოეხვეოდა თუ არა... რასაკვირველია ასე იქნება. ხომ მოასწრო თავისი ნატვრა, ვიდრე ცა გახსნილი იყო...

— დედიკო!—დაუძახა ჩუმად პატარამ.

დედა არ უპასუხებდა.

— დედიკო!

ისევ მდუმარება.

— სძინავს!—წაიჩურჩულა კვლავ პატარამ. ცოტა იქით წავიდა, დაუწყო ცდა, როდის გაიღვიძებდა დედა.

კარი შემოაღო მეზობელმა ანნამ. შესვლისას კარი ცოტა მიაჯახუნა. პატარამ თითი პირზე მიიდო და ჩუმად უთხრა:

— სსს... დედასა სძინავს!

მეზობელი შეჩერდა და ავადმყოფს გადაჰხედა. მერე მივარდა უცებ და ხელზე მოჰკიდა ხელი. ხელი ცივი ჰქონდა. ანნას თვალები ცრემლით აევსო, უნდოდა რაღაცა დაეყვირა, მაგრამ მოაგონდა პატარა და თავი შეიკავა.

— სძინავს! -სთქვა ანნამ, მიუბრუნდა, ბავშვს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— წამოდი ჩემთან, მანამ დედიკო გაიღვიძებდეს, ჰა?!.

ბავში ყოყმანობდა. იგი წამოდგა, ცოტათი დაფიქრდა.

— წავიდეთ!—მიუგო მან პატარა დუმილის შემდეგ.—მხოლოდ ჩუმად გავიდეთ, რომ არ გამოვაღვიძოთ!

და ფეხის თითებზე წავიდა.

მაგრამ როცა კარებთან მივიდა, კვლავ უკან მოიხედა. მიბრუნდა ისევ ფეხ-აკრებით მივიდა დედასთან და ფრთხილად, ოდნავ აკოცა განიერ სახელოზე, საწოლიდან რომ გადმოშვეპოდა.

— იძინე, იძინე, დედიკო!.. მე არ გაგაღვიძებ. არა!..

სანგანიძე.

ოსმალური პიესის ,,შეკითხვა და განმარტების“ მეორე მოქმედება დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ბარონის ქუჩა. სტამბა „ნადეჟდა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.